საქართველოს მთავრობის

დადგენილება №119

2021 წლის 19 მარტი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“:

1. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით დაწესებული შეზღუდვა არ ვრცელდება 2021 წლის 26-28 მარტს, ქ. თბილისში გასამართ ძიუდოს „გრან-სლემის“ ტურნირსა და 2021 წლის 28 მარტს, ქ. თბილისში გასამართ ფეხბურთში 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე (საქართველოსა და ესპანეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის) და ამასთან, აღნიშნულ ღონისძიებებზე დაიშვება მაყურებელთა 30%, შესაბამისი ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით.“.

2. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^3 პუნქტი:

„4^3. 2021 წლის 19 მარტიდან დასაშვებია რესტორნებში/ბარებში/კაფეებში ცოცხალი მუსიკა, ამავე დაწესებულებებისთვის დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**